ხელშეკრულება N 60
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ.შუახევი 18 მარტი 2016 წ

ერთის მხრივ, შუახევის მუნიციპალიტეტი (შემდგომში -შემსყიდველი), გამგებლის **ტარიელ ებრალიძის** სახით და მეორეს მხრივ, შპს „EMI", მისი დირექტორის ბადრი მანველიძის სახით (შემდგომში -მიმწოდებელი) , „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა, შემსყიდველს მიაწოდოს **შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობას და შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურს კანცელარიო საქონელი** (შემდგომში - „საქონელი"), შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

1.2 შესყიდვის ობიექტის რაოდენობა, ერთეულის ფასი და მთლიანი თანხა განისაზღვრება **დანართის (ფასების ცხრილი)** მიხედვით, რომელთა წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3 **კლასიპიკატორის კოდი: 22800000**

2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1851 (ათას რვაას ორმოცდათერთმეტი)** ლარს

2.2 საქონლის ღიირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთ გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

2.3 შემსყიდველის მიერ შესრულებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში.

2.4 მიმწოდებლის მოთხოვნა ანაზღაურების შესახებ შემსყიდველისადმი შესრულებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით, საქონლის მიწოდების შესახებ შესაბამისი დოკუმენტების (მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) დართვით.

2.5 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველთან ერთად დააფიქსიროს მიწოდებული საქონლის ღირებულება.

3. ხელსეკრულების ინსპექტირების პირობები

3.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შუახევის **მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი მიხეილ დავითაძე და შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი ჯემალ დიასამიძე,** რომლის ფუნქციები განისაზღვრება „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 26-ე მუხლით.

3.2 შემსყიდველს ან ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე მათ შორის საქონლის ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშვალებებით და სხვა სამუშაო პირობებით იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1 საქონლის მიწოდება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ, საქონლის მიწოდების გრაფიკის შესაბამისად.

4.2 მიწოდების საბოლოო ადგილია : ქ. ბათუმი, ანგისის ქუჩა #31

4.3 მიწოდებული საქონლის ტრანსპორტირებას, დაზღვევას, საგარანტიო უზრუნველყოფას, განბაჟებას და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა გადასახადების გადახდას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5. საქონლის შესაბამისობა და მიღება- ჩაბარება

5.1 საქონელი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მიერ მოთხოვნილ სტანდარტებს.

5.2 4.1 პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

5.3 თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

5.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა ინსპექტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

5.5 საქონლის მიღებაჩაბარება ხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისის) წარმოდგენის შემდეგ.

5.6 მიმწოდებელი საქონლის შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს შუახევის მუნიციპალიტეტის **ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი მიხეილ დავითაძე**

6. გარანტია

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი არ გამოავლენს დეფექტს.

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინებების მიღებისთანავე განახორციელოს წინდებულის საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გარეშე.

6.3 გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის ექსპულატაციის პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის სრული დაცვით.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მიმწოდებელს წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოებების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას.

ბ) საქონლის მიწოდების დამოწმებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება.

გ) მიმწოდებელს აუნაზღაუროს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით სახელმწიფო შესყიდვის სრული ღირებულება საქონლის მიწოდების დასრულებისთანავე.

7.3 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელსეკრულების პირობების დაცვაზე.

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეარჩიოს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის სესახებ დადებული ხელსეკრულების მოქმედება.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.5 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმამხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

9.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ თავის ვალდებულებებს ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულებების პირობები.

9.2 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს შეუწყვიტოს ხელშეკრულების შესრულების წერილობითი ფორმით შეტყობინების შემდეგ მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების ან მისი ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში თუ:

ა) მიმწოდებელმა არ მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში.

ბ) თუ მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელსეკრულებით გათვალისწინებული სხვა თავისი ვალდებულებები.

9.3 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა 0,25%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებლ დღეზე.

9.4 შემსყიდველის მიერ ხელსეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მიმწოდებლისათვის შესრულებული მომსახურების ღირებულების გადახდის დაგვიანების შემთხვევაში, შემსყიდველი მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით უხდის მომსახურების ღირებულების 0,05%-ს ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

9.5 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელსეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ს მიმწოდებელს უფლება აქვს ვადამდე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.6 ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელსეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელსეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.5 მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.

10.6 თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდა, რომ არსებობს რეალური საშიშროებას იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალებულებებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.

10.7 წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.8 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათავალისწინებული სხვა შემთხვევებში.

10.9 ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

11. საქონლის მიწოდებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები

11.1 საქონლის მიწოდების ვადაა 2016 წლის 15 აპრილამდე პერიოდი.

11.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2016 წლის 20 მაისამდე პერიოდი

12. ფორს-მაჟორული სიტუაცია

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშვალო ზემოქმედებას ახდენენ ხელსეკრულების შესრულებაზე.

12.2 ხელსეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.3 მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთანავე მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

14. გადასახადები და ბეჭედი

14.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

15. შეტყობინება

15.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16. სხვა პირობები

16.1 ყველა სხვა საკითხი, რაც გათვალისწინებული არ არის ამ ხელშეკრულებით გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამ) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
შუახევის მუნიციპალიტი	შპს „EMI“
მის: დაბა შუახევი, თამარ მეფის ქ.30.	ქ. ბათუმი, ანგისის ქუჩა #31
სახელმწიფო ხაზინა	პროკრედიტ ბანკი
ბ/კოდი TRESGE22	ა/ა GE27PC034360010001308
ს/კ 247865145	ს/კ 445389393

შუახევის მუნიციპალიტეტი	**შპს „EMI“**
გამგებელი: ტარიელ ებრალიძე	**დირექტორი:** ბადრი მანველიძე

ფასების ცხრილი

შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობა

N	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი,₾	საერთო ფასი, ₾
1	სწრაფჩამკერი	ცალი	250	0.3	75
2	სწრაფჩამკერი (ბაფთიანი)	ცალი	100	0.3	30
3	საქაღალდე 80 ფაილიანი	ცალი	40	4	160
4	საქაღალდე 60 ფაილიანი	მეტრი	44	3	132
5	საქაღალდე 40 ფაილიანი	ცალი	44	2	88
6	საქაღალდე 30 ფაილიანი	ცალი	34	1.5	51
7	ბაინდერი	ცალი	105	3	315
8	შემოსავლის წიგნი	ცალი	5	9	45
9	გასავლის წიგნი	ცალი	5	9	45
10	სამუშაო წიგნი (ბლოკნოტი)	ცალი	50	4	200
11	საქაღალდე დამჭერით	ცალი	100	2	200
12	ფაილი	ცალი	80	3.5	280
13	ბლოკნოტი	ცალი	15	7	105
სულ თანხა					1726

შპს "EMI"-ის დირექტორი : ბადრი მანველიძე

ფასების ცხრილი

შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური

N	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი,₾	საერთო ფასი, ₾
1	საქაღალდე 80 ფაილიანი	ცალი	2	4	8
2	საქაღალდე 60 ფაილიანი	მეტრი	2	3	6
3	საქაღალდე 40 ფაილიანი	ცალი	2	2	4
6	საქაღალდე 30 ფაილიანი	ცალი	4	1.5	6
7	ბაინდერი	ცალი	10	3	30
8	შემოსავლის წიგნი	ცალი	2	9	18
9	გასავლის წიგნი	ცალი	2	9	18
12	ფაილი	ცალი	10	3.5	35
სულ თანხა					125

შპს "EMI"-ის დირექტორი : ბადრი მანველიძე